# ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო  დ ა ს კ ვ ნ ა

„ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე „საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის № 41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე

**ექსპერტიზის ობიექტი:**

**ქ.თბილისში, სოფ.დიღომში, ს/კ 01.72.14.069.159 მრავალფუნქციური შენობის პროექტი**

**დამკვეთი:**

დ. დოლიძე

**პროექტის ავტორი:**

დათო ომანაძე

**ექსპერტი:**

მაგდა მეშვილდიშვილი



**ექსპერტიზის თარიღი ან პერიოდი:**

28.04.2025

თ ბ ი ლ ი ს ი

2025 წ.

28.04.2025 მაგდა მეშვილდიშვილი

## დასკვნის გამოყენების წესები:

- საექსპერტო დასკვნა მოიცავს ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან შესაბამისობის შეფასებას და არ ეხება სხვა რაიმე ნორმატიულ თუ ინდივიდუალურ აქტებთან შესაბამისობის ანალიზს.
- საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით.
- საპროექტო ობიექტის შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით. არქიტექტურულ პროექტში, ასევე მშენებლობის პროცესში და ექსპლუატაციის შემდგომ განხორციელებული ისეთი სახის ცვლილება, რომელიც შეთანხმებული არაა ექსპერტთან, ავტომატურად გამოიწვევს გაცემული საექსპერტო დასკვნის გაუქმებას.
- არქიტექტურული პროექტში ისეთი ცვლილება, რომელიც შეუსაბამობაში მოდის წინამდებარე დასკვნის ნაწილებთან, შეთანხმებული უნდა იყოს ექსპერტთან.
- ექსპერტი პასუხს აგებს მხოლოდ არქიტექტურული პროექტის ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობაზე და არა მის განხორციელებაზე ან/და მშენებლობის პროცესში, ასევე ექსპლუატაციის შემდგომ მისგან გადახვევაზე.
- ექსპერტიზისათვის გადმოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომწოდებელ მხარეს

## ექსპერტიზისათვის გადმოცემული მასალების ჩამონათვალი:

1. განმარტებითი ბარათი;
2. შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი;
3. პირობითი აღნიშვნები;
4. სიტუაციური გეგმა;
5. მიწის ნაკვეთის გეგმა;
6. შენობის ყველა სართულის გეგმა (არქიტექტურული და ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილი);
7. შენობის ფასადები (არქიტექტურული ნაწილი);
8. შენობის ჭრილები (არქიტექტურული და ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილი);
9. გარე კედლების დეტალური ნახაზები (არქიტექტურული ნაწილი);
10. სახურავის ანაწყობის დეტალური ნახაზები (არქიტექტურული ნაწილი).

28.04.2025 მაგდა მეშვილდიშვილი

## დასკვნის სარჩევი:

გამოყენების და დაკავებულობის კლასიფიცირების შეფასება ---------- 1

შენობის ზოგადი სიმაღლისა და ფართობის შეფასება ---------- 2

კონსტრუქციის ტიპის შეფასება ---------- 3

ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება ---------- 4

ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება ---------- 5

გასასვლელი საშუალებების შეფასება ---------- 6

მისაწვდომობის შეფასება ---------- 7

შიგა გარემოს შეფასება ---------- 8

გარე კედლების შეფასება ---------- 9

სახურავის ანაწყობების და სახურავზედა ნაგებობების შეფასება ---------- 10

წყალსადენი სისტემების შეფასება ---------- 11

ავტომობილებთან დაკავშირებული დაკავებულობების შეფასება---------- 12

## გამოყენების და დაკავებულობის კლასიფიცირების შეფასება:

- წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, საპროექტო სივრცისთვის მინიჭებული დაკავებულობის ჯგუფები შეესაბამება 302-ე ქვეთავს.
- პროექტში გამოყენებულია შემდეგი დაკავებულობები:

- **სავაჭრო ჯგუფი სვ** (მაღაზია +0.10 ნიშნულზე) - შეესაბამება 309 ქვეთავს, რომლის მიხედვითაც, ეს ჯგუფი მოიცავს ისეთი შენობებისა და ნაგებობების ან მათი ნაწილების გამოყენებას, სადაც გამოფენილია და იყიდება საქონელი, ასევე, განთავსებულია ამგვარი საქონლის მარაგი, ნაკეთობები და სავაჭრო საქონელი და მისაწვდომია საზოგადოებისათვის.

- **საცხოვრებელი ჯგუფი სც-3** (ინდივიდუალური საცხოვრებელი +0.10 ნიშნულზე) - შეესაბამება 310.5 ქვეთავს, რომლის მიხედვითაც, ამ ჯგუფს მიეკუთვნება შენობები, რომლებიც არ შეიცავს ორზე მეტ საცხოვრებელ ერთეულს.

- **დამხმარე და სხვადასხვა დანიშნულების ჯგუფი დს** ( ინდ. საცხოვრებლის მომსახურე სარდაფი და კერძო გარაჟი - 3.20 ნიშნულზე) - შეესაბამება 312 ქვეთავს, რომლის მიხედვითაც, ამ ჯგუფში შედის დამხმარე - დანიშნულების შენობა-ნაგებობები, რომლებიც არ მიეკუთვნება რომელიმე სპეციფიკურ კლასს, ასევე გადახურული ავტოსადგომები და კერძო გარაჟები.

- **რაც შეეხება დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორს, პროექტის მიხედვით მინიჭებული მაჩვენებელი შეესაბამება 1004.1.2 ცხრილს:**

- სავაჭრო-კომერციული ფართობისათვის ---------- 2.8 მთლიანი;
- საცხოვრებელი ფართობისათვის ---------- 18.6 მთლიანი;
- ავტოსადგომისათვის ----------18.6 მთლიანი;
- დამხმარე სათავსისათვის (სარდაფისათვის)---------- 27.9 მთლიანი.

- **ზემოაღნიშნული ფაქტორების მიხედვით არის შემდგომ დაანგარიშებული დაკავებულობის დატვირთვა (იატაკის ფართობი გაყოფილია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე). გეგმებზე დატანილი თითოეული სივრცის დაკავებულობის დატვირთვა სწორად არის განხორციელებული.**

## შენობის ზოგადი სიმაღლის და ფართობის შეფასება:

- საპროექტო შენობის მიწის დონის ზედა სართულების, ასევე შენობის სიმაღლის განსასაზღვრად დადგინდა მიწის დონე. მიწის დონე გამოთვლილ იქნა შენობასა და მიწის ნაკვეთის საზღვარს შორის 1,8 მ-მდე ფარგლებში მოქცეული ფართობის ყველაზე დაბალი ნიშნულების მიხედვით .
- შენობის სიმაღლე მიწის დონიდან არის 6 მეტრი (სიმაღლე დაანგარიშებულია 202 ქვეთავის მიხედვით,) ხოლო ყველაზე მაღალი დაკავებული იატაკი მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან 1 მეტრის სიმაღლეზე, ანუ 23.00 მ-ზე დაბლა და შესაბამისად, „წესების“ განმარტების მიხედვით, საპროექტო შენობა არ არის მაღლივი.
- საპროექტო შენობაში განთავსებულია 1 მიწისქვეშა და 1 მიწისზედა სართული.
- 202 ქვეთავის შესაბამისად, -3.20 ნიშნულზე მდებარე ფართობი მიჩნეულია მიწისქვეშა სართულად, რადგან მის თავზე მდებარე იატაკის მოპირკეთებული ზედაპირი მიწის მოპირკეთებული დონიდან 3.7 მეტრზე დაბლა მდებარეობს, ხოლო მისი საშუალო ამაღლება მიწის ზედაპირიდან 1.80 მეტრზე ნაკლებია.

- სართულებზე დაკავებულობის ჯგუფები გადანაწილებულია შემდეგი სახით:

- მიწის დონის ქვედა სართული ---------- ჯგუფი დს (278.4 კვ.მ);
- მიწის დონის ზედა I სართული ---------- ჯგუფი სვ (153.3 კვ.მ); ჯგუფი სც-3 (38.8 კვ.მ)

- **საპროექტო შენობა შეესაბამება 503-ე ცხრილს, თითოეულ სართულზე დაკავებულობის ჯგუფის, ფართობის, სართულიანობის, სიმაღლის და კონსტრუქციის ტიპის მიხედვით.**
- **დს ჯგუფის დაკავებულობის ფართობი აკმაყოფილებს 406.3 ქვეთავის მოთხოვნებს. იხ. ავტომობილებთან დაკავშირებული დაკავებულობების შეფასება.**

## კონსტრუქციის ტიპის შეფასება:

- საპროექტო შენობის კონსტრუქციის ტიპი (III -B) შენობის სიმაღლის, სართულიანობის, დაკავებულობის ჯგუფის და თითოეულ სართულზე დაკავებულობის ჯგუფების ფართობის გათვალისწინებით, სწორად არის შერჩეული. 602.1.1 ქვეთავის მიხედვით, აუცილებელი არ არის, შენობა ან მისი ნაწილი მიეკუთვნოს მინიმალური მოთხოვნების დამაკმაყოფილებელ ტიპზე მაღალი ტიპის კონსტრუქციას, მაშინაც კი, როცა ასეთი შენობის ცალკეული დეტალები რეალურად უფრო მაღალი ტიპის კონსტრუქციას შეესაბამება. 602.3 ქვეთავის მიხედვით, III ტიპის კონსტრუქციაში გარე კედლები არაწვადი მასალებისაა, ხოლო შენობის შიგა სივრცის ელემენტები ნებისმიერი მასალის, რომლის გამოყენება ნებადართულია წესებით.
- III-B ტიპის კონსტრუქციული ელემენტებისადმი მოთხოვნები უნდა განისაზღვროს 601 ქვეთავის შესაბამისად.
- შენობის ძირითადი სტრუქტურული ჩარჩოს, მზიდი კედლების, იატაკის კონსტრუქციის და არამძირითადი ნაწილების, სახურავის კონსტრუქციის და არამძირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის მინიმალური ხარისხი შეესაბამება 601-ე ცხრილის მოთხოვნებს და შენობის ასეთი ელემენტების, კომპონენტების და ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხები განსაზღვრულია 721 ქვეთავის მიხედვით:

  ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო ----------0 სთ.

  გარე მზიდი კედლები ---------- 2 სთ.

  შიგა მზიდი კედლები ----------0 სთ.

  იატაკის კონსტრუქცია და არამძირითადი ნაწილები ---------- 0 სთ.

  სახურავის კონსტრუქცია და არამძირითადი ნაწილები ---------- 0 სთ.

- რაც შეეხება შენობის გარე არამზიდ კედლებს, პროექტით დაცულია ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები, რომელიც შეესაბამება 602 ცხრილის და 705.8.5 ქვეთავის მოთხოვნებს.

## ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება:

- ნაშვერები, რომლებიც გარე კედლის მიღმა გრძელდება, არ უახლოვდება ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის ასათვლელ ხაზს 705.2 ცხრილში მითითებულ მანძილზე მეტად.
- გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისა და ღიობის დაცვის ხარისხის მიხედვით შეესაბამება 705.8 ცხრილის მოთხოვნებს.
- საპროექტო შენობის გარე კედლებში არსებული ღიობების შვეულად გამიჯვნა სავალდებულო არაა 705.8.5 ქვეთავის შესაბამისად, რადგან მისი სიმაღლე მიწის დონიდან სამ სართულს არ აღემატება.
- გარე კედლებისათის პარაპეტის მოწყობა სავალდებულო არაა 705.11 ქვეთავის მე-3 და მე-4 გამონაკლისების მიხედვით, ვინაიდან სახურავი, ფილის და საყრდენი კონსტრუქციის ჩათვლით, მთლიანად არაწვადი მასალებისაგანაა აგებული, სახურავის კარკასი და მისი საყრდენი ელემენტები,

არანაკლებ, 1-საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე კონსტრუქციაა და მთელს შენობას გააჩნია, არანაკლებ, B კლასის სახურავის ბურული. წარმოდგენილი პროექტით, გარე კედლებს გააჩნია პარაპეტი, რომლის სიმაღლე არანაკლებ 0.76 მეტრია და რომლის ცეცხლმედეგობაც უტოლდება მისი საყრდენი გარე კედლის ცეცხლმედეგობის ხარისხს.

- დაკავებულობების აუცილებელი გამიჯვნა აკმაყოფილებს 508.4 ქვეთავის მოთხოვნებს. 508.4 ცხრილის „ე“ სქოლიოს მიხედვით, ერთნაირად კლასიფიცირებული დაკავებულობების გამიჯვნა აუცილებელი არ არის.
- 1009.3 ქვეთავის მეორე გამონაკლისის მიხედვით, გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბეები, რომლებიც ემსახურება და მდებარეობს ცალკეული საცხოვრებელი ერთეულის ან საძინებელი ერთეულის საზღვრებში სც-1, სც-2 ან სც-3 ჯგუფის დაკავებულობებში, არ საჭიროებს შემოზღუდვას, თუმცა, წარმდგენილი პროექტით, გზა-კიბეები შემოსაზღვრულია 1 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე ზღუდეებით.
- კარის ღიობის ცეცხლისაგან დამცავი ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 716.5 ცხრილის შესაბამისად.

## ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება:

**ავტოსაშხეფი სისტემა:**

- 903.2.7 ქვეთავის მიხედვით, ავტოსაშხეფი სისტემა უნდა დააყენონ შენობებში, რომლებიც შეიცავს სვ ჯგუფის დაკავებულობას, თუ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი მდგომარეობაა:
  1. სვ ჯგუფის ხანძრისგან დაცული ფართობი 1200 მ²-ს აღემატება;
  2. სვ ჯგუფის ხანძრისგან დაცული ფართობი მდებარეობს მიწის დონიდან სამ სართულზე მაღლა;
  3. სვ ჯგუფის ხანძრისგან დაცული ფართობის საერთო ფართობი ანტრესოლიანად ყველა იატაკზე 2300 მ²-ს აღემატება;
  4. სვ ჯგუფის დაკავებულობა, გამოყენებული გადაკრული/რბილი ავეჯის ან მატრასების გამოსაფენად და გასაყიდად, 500 მ²-ს აღემატება.

- საპროექტო შენობაში არ გვხვდება არცერთი ზემოთჩამოთვლილი მდგომარეობა. გარდა ამისა, არაა გათვალისწინებული სათავსები სვეტებად დაწყობილი სავაჭრო საქონლისათვის. შესაბამისად, ავტოსაშხეფი სისტემა სვ ჯგუფში სავალდებულო არაა.
- სც-3 ჯგუფის აღჭურვა საშხეფი სისტემით არაა სავალდებულო 903 ქვეთავის მოთხოვნათა გათვალისწინებით.
- რაც შეეხება მიწისქვეშა სართულს, დს ჯგუფში ავტოსაშხეფი სისტემის დაყენება სავალდებულო არაა 903.2.11 ქვეთავის მიხედვით. ასევე სახანძრო დანაყოფის ავტომობილის მისადგომიდან 16,8 მ-ზე ან 16,8 მ-ზე მაღლა იატაკის დონის დაკავებულობის დატვირთვა არ უტოლდება 30-ს, შესაბამისად ავტოსაშხეფი არც 903.2.11.3 პუნქტის მიხედვითაა სავალდებულო.

სახანძრო მილდგარების სისტემა:

- 905.3 ქვეთავის გამონაკლისის შესაბამისად, სახანძრო მილდგარების სისტემები საჭირო არაა შენობაში, თუ ყველაზე მაღალი სართულის იატაკის დონე 9.0 მ-ზე ზემოთაა სახანძრო ავტომობილის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან, ან თუ ყველაზე დაბალი სართულის იატაკის დონე 9.0 მ-ზე ქვემოთაა სახანძრო ავტომობილის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან.
  აქედან გამომდინარე, საპროექტო შენობაში სახანძრო მილდგარების სისტემის გათვალისწინება სავალდებულო არაა.

ხელის ცეცხლმაქრები:

- 906 ქვეთავის მიხედვით, ხელის ცეცხლმაქრები გათვალისწინებულია სვ და დს ჯგუფის დაკავებულობებში.

- სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემები:

- 907.2.7 ქვეთავის მიხედვით, სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა, რომელიც ააქტიურებს დამკავებელთა შეტყობინების სისტემას, უნდა დააყენონ სვ ჯგუფის დაკავებულობებში, რომელშიც არსებობს ქვემოთ ჩამოთვლილთგან ერთ-ერთი პირობა:
  1. სვ ჯგუფის ყველა იატაკის საერთო დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 500 კაცს ან მეტს;
  2. სვ ჯგუფის დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 100 კაცზე მეტს შენობიდან გამოსასვლელის ყველაზე დაბალი დონის ზემოთ ან ქვემოთ.

- საპროექტო შენობაში არაა გათვალისწინებული არცერთი ზემოთჩამოთვლილი მდგომარეობა, შესაბამისად, სვ ჯგუფში არაა სავალდებულო სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემის მოწყობა, თუმცა, პროექტით გათვალისწინებულია.
- სვ ჯგუფის ფართობი, სველი წერტილების გარდა, აღჭურვილია სახანძრო სიგნალიზაციის სისტემით.
- 907.4.2.1 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად, სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფები განთავსებულია თითოეული გასასვლელიდან 1,5 მ არეალში და იმგვარადაა განლაგებული, რომ უახლოეს კოლოფთან მისასვლელი მანძილი 60 მ-ს არ აღემატება.
- გასათვალისწინებელია, რომ 907.4.2.2 ქვეთავის მიხედვით, შვეულად გაზომვისას, იატაკის დონიდან სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფების გასააქტიურებელ სახელურამდე ან ბერკეტამდე, არანაკლებ, 1,0 მ და, არაუმეტეს, 1,4 მ უნდა იყოს. სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფები უნდა იყოს წითელი ფერისა.
- იმის გათვალისწინებით, რომ საპროექტო შენობა აღჭურვილია სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემით, სახანძრო განგაშის სისტემა უნდა გააქტიურდეს სახანძრო განგაშის კოლოფის ამოქმედებისთანავე, შესაბამისად, საპროექტო შენობა ასევე აღჭურვილია დამკავებელთა შეტყობინების სისტემით, რაც შეესაბამება 907.5 და 907.5.2.3.1 ქვეთავების მოთხოვნებს.

- რაც შეეხება სც-3 ჯგუფის დაკავებულობას, პროექტით გათვალისწინებულია კვამლზე მორეაგირე მაუწყებლების განთავსებაა საძინებელი ოთახების ჭერზე და საძინებლებში შესასვლელებთან, როგორც ამას 907.2.11.2 ქვეთავის მოითხოვს.
- დს ჯგუფის ფართობი აღჭურვილია კვამლაღმომჩენებით.

## გასასვლელი საშუალებების შეფასება:

- -3.20 ნიშნულზე საპროექტო შენობას ემსახურება 1 გასასვლელი გზა-კიბის სახით, რაც დასაშვებია 1021.2(2) ცხრილის მიხედვით, ვინაიდან, სართულის დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 12-ს, დს ჯგუფის დაკავებულობიდან გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი არ აღემატება 23 მეტრს, ხოლო სართულზე გნთავსებული ფართები წარმოადგენს ინდივიდუალური საცხოვრებლის მომსახურე დაკავებულობებს და შესაბამისად, მის ნაწილს.
- I სართულზე საპროექტო შენობას ემსახურება 3 გასასვლელი გზა-კარის სახით (2 გასასვლელი სვ ჯგუფისათვის და 1 გასასვლელი სც-3 ჯგუფისათვის), რაც შეესაბამება 1021.2(2) ცხრილის მოთხოვნებს. ასევე, 1-4 ფასადის მხრიდან მიწის დონეზე მიდგომა ხორციელდება გარე გზა-კიბის მეშვეობით.
- სვ ჯგუფში გასასვლელებს შორის მანძილი აკმაყოფილებს 1015.2.1 ქვეთავის მოთხოვნებს.
- გზა-კიბის გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც 7,6 მმ-ია თითო დამკავებელზე. ასეთი სახით გამოთვლილი კიბის გამტარუნარიანობა გაცილებით ნაკლებია 1009.4 ქვეთავით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე. წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით დაკმაყოფილებულია წესების მოთხოვნები და დს ჯგუფის მომსახურე შიგა გზა-კიბის თავისუფალი სიგანე სახელურებს შორის განსაზღვრულია 1.12 მეტრის სახით, ხოლო გარე გზა-კიბეების (რომელსაც მისაწვდომობა მოეთხოვება)თავისუფალი სიგანე სახელურებს შორის განსაზღვრულია 1.20 მეტრის სახით.
- გასასვლელი საშუალებების სხვა კომპონენტების (კარის) გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც თითო დამკავებელზე 5,1 მმ-ია. ასეთი სახით გამოთვლილი კარის გამტარუნარიანობა გაცილებით ნაკლებია 1008.1.1 ქვეთავით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე (0.82 მეტრის სახით). წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით დაკმაყოფილებულია წესების მოთხოვნები და საპროექტო შენობის მომსახურე გასასვლელი საშუალების კარის თავისუფალი სიგანე სულ 0.82 მეტრია.
- პროექტით გათვალისწინებული ყველა გზა-კარი იღება გვერდითა ანჯამების 1008.1.2 ქვეთავის შესაბამისად.
- გზა-კიბეების საზღვრებში გასავლელის თავისუფალი სიმაღლე არ არის 2.05 მეტრზე ნაკლები, რაც შეესაბამება 1009.5 ქვეთავის მოთხოვნას.
- 1009.16 ქვეთავის მიხედვით, კიბის სახურავის ზედაპირამდე გაგრძელება სავალდებულო არაა, რადგან საპროექტო შენობის სიმაღლე მიწის დონიდან ოთხ სართულს არ აღემატება.
- კიბის საფეხურების ზომები შეესაბამება 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს. იატაკის დონეებსა ან ბაქნებს შორის კიბის მარშის შვეული ამაღლება არ აღემატება 3.7 მ-ს, თანახმად 1009.10 ქვეთავისა.
- გზა-კიბის სახელურები შეესაბამება 1012 ქვეთავის მოთხოვნებს. სახელური განთავსებულია კიბის საფეხურის ნაშვერებიდან 90 სმ სიმაღლეზე თანაბრად, რითიც დაკმაყოფილებულია 1012.2 ქვეთავის

მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, სახელურები უნდა განთავსდეს საფეხურის ნაშვერებიდან, არანაკლებ, 86 სმ და, არაუმეტეს, 100 სმ სიმაღლეზე თანაბრად.

- 1012.6 ქვეთავის პირველი გამონაკლისის შესაბამისად, სახელურები შესაძლებელია, გაგრძელდეს მხოლოდ ზედა საფეხურის შუბლიდან ქვედა საფეხურის შუბლამდე საცხოვრებელი ერთეულიის დამხმარე დს ჯგუფში განთავსებულ კიბეში, რომელიც არ არის აუცილებლი, შეზღუდული შესაძლებლობების პირთათვის მისაწვდომი იყოს. გარდა ამისა, 1009.15 ქვეთავის მეორე გამონაკლისის შესაბამისად, აღნიშნულ გზა-კიბეებს დასაშვებია ჰქონდეს სახელური მხოლოდ ერთი მხრიდან.
- მოაჯირების სიმაღლე შეადგენს 90 სმ-ს, რაც აკმაყოფილებს 1013.3 ქვეთავის პირველი გამონაკლისის მოთხოვნებს.
- გარე გზა-კიბის შემაღლებები/შუბლები მასიურია, ღიობების გარეშე, როგორც ამას 1009.7.5.3 ქვეთავი მოითხოვს.
- კიბეების და ბაქნების მოაჯირები აკმაყოფილებს 1013 ქვეთავის მოთხოვნებს.
- ყველა იმ ფართში, სადაც ავეჯი ან შესაბამისი ინვენტარია განთავსებული, გასავლელის სიგანე აკმაყოფილებს 1017.3 და 1017.5 ქვეთავების მოთხოვნებს.
- გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილის სიგრძე არ აღემატება 1016.2.1. ცხრილში მოთხოვნილს.
- ასევე დაკმაყოფილებულია 1027.5 ქვეთავის მოთხოვნა და შენობიდან გამოსასვლელები უზრუნველყოფენ საზოგადოებრივ გზასთან პირდაპირ და დაუბრკოლებელ მისადგომს. ასევე, 1007.7.1 ქვეთავის შესაბამისად, ვინაიდან 1-4 ფასადზე მდებარე შენობიდან გამოსასვლელი არ მოიცავს მისაწვდომ სვლაგეზს, რომელიც შენობიდან გამოსასვლელის დონეზე მდებარე გასასვლელიდან საზოგადოებრივ გზამდე გრძელდება და საზოგადოებრივ სივრცეში მოხვედრა ხორციელდება გარე კიბის მეშვეობით, ბაქანზე მოწყობილია სხვისი დახმარებით თავდასაღწევად განკუთვნილი გარე ფართობი 1007.7.3 – 1007.7.6 ქვეთავების შესაბამისად.
- საზოგადოებრივი დანიშნულების ფართებში თითოეულ გასასვლელის კარს ემსახურება გასასვლელის ნიშანი, თანახმად 1011.1 ქვეთავისა.

აღნიშნული გასასვლელის ნიშნების განათებულობა გათვალისწინებულია. ამობურცული ნიშნებითა და ბრაილით წარწერა „გასასვლელი/EXIT“ მოწყობილია გასასვლელის ყველა გზა-კართან, რაც შეესაბამება 1011.4 ქვეთავის მოთხოვნას.

## მისაწვდომობის შეფასება:

- თანახმად 1103.1 ქვეთავისა, დროებითი ან მუდმივი ადგილები, შენობები, ნაგებობები, საშუალებები, ელემენტები და სივრცეები, მისაწვდომი უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. აღნიშნული მოთხოვნა საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია და საპროექტო შენობის საზოგადოებრივი ფართობები და მიწის ნაკვეთი მისაწვდომია.
- მისაწვდომი სვლაგეზი უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი სივრცეებიდან სავაჭრო სივრცის შესასვლელამდე, თანახმად 1104 ქვეთავისა.
- თანახმად 1104.5 ქვეთავისა, მისაწვდომი სვლაგეზები უნდა ემთხვეოდეს საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკს ან მდებარეობდეს იმავე ფართობზე, რომელზეც საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკი. თუ მიმოსვლის ბილიკი შიგა სივრცეშია, მისაწვდომი სვლაგეზიც შიგა სივრცეში უნდა იყოს. თუ მისაწვდომი სვლაგეზი მხოლოდ ერთია, ის არ უნდა კვეთდეს სამზარეულოებს, სათავს ოთახებს, დასასვენებელ ოთახებს, საკუჭნაოებსა და მსგავს სივრცეებს.

აღნიშნული მოთხოვნა საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია. მისაწვდომი სვლაგეზის პარამეტრები შეესაბამება „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს.

- 1103.2.5 ქვეთავის მიხედვით, დს ჯგუფის ფართობები არ საჭიროებს მისაწვდომობას.
- 1103.2.4 ქვეთავის მიხედვით, ერთი ან ორი ოჯახის ცალკე მდგომი საცხოვრებლები და მათი დამხმარე ნაგებობები, ასევე, მათთან დაკავშირებული ადგილები და საშუალებები, არ საჭიროებს მისაწვდომობას.
- საპროექტო შენობის სავაჭრო სივრცის შესასვლელი (რომელიც მდებარეობს 4-1 ფასადზე) მისაწვდომია, რაც შეესაბამება 1105.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- 1109.12.3 ქვეთავის შესაბამისად, სავაჭრო დახლი მდებარეობს მისაწვდომ სვლაგეზზე.
- სავაჭრო ფართობს ემსახურება მისაწვდომი ტუალეტის ოთახი, რაც შეესაბამება 1109.2 ქვეთავს.
- შენობაში მისაწვდომ სივრცეებს ემსახურება შესაბამისი რაოდენობის მისაწვდომი გასასვლელი საშუალება, რაც შეესაბამება 1007.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- თითოეული აუცილებელი მისაწვდომი გასასვლელი საშუალება უწყვეტად მიემართება საზოგადოებრივი გზისკენ და მოიცავს მისაწვდომ სვლაგეზს, რაც შეესაბამება 1007.2 ქვეთავის მოთხოვნას.
- **როგორც აღინიშნა, ვინაიდან შენობიდან ერთ-ერთი გამოსასვლელიდან საზოგადოებრივ სივრცეში მიდგომა ხორციელდება მისაწვდომი გარე გზა-კიბეების მეშვეობით, ბაქანზე, გზა-კარის მიმდებარედ გათვალისწინებულია სხვისი დახმარებით თავდასაღწევი გარე ფართობი, 1007.7.1 ქვეთავის შესაბამისად.**
- სხვისი დახმარებით თავდაღწევისათვის განკუთვნილი გარე ფართობი ღიაა ატმოსფეროსკენ. ასევე, ღიაა გვერდების სულ მცირე, 50%. ეს არ ეხება გამმიჯნავ კედლებს. ღია ფართობი ისეა გადანაწილებული, რომ მინიმუმამდე ამცირებს კვამლის ან მომწამვლელი აირების დაგროვების შესაძლებლობა. ეს ყოველივე შესაბამისობაშია 1007.7.5 ქვეთავის მოთხოვნებთან.
- სხვისი დახმარებით თავდაღწევისათვის განკუთვნილი თითოეული გარე ფართობი ისეთი ზომისაა, რომ იტევს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის განკუთვნილ ეტლს 1007.6.1 ქვეთავის შესაბამისად, ანუ უზრუნველყოფს მინ 760X1300 მმ თავისუფალ სივრცეს.
- სხვისი დახმარებით თავდასაღწევ ფართობებზე დაყენებულია ორმხრივი კავშირის სისტემა, 1007.6.3 ქვეთავის შესაბამისად.

## შიგა გარემოს შეფასება:

- პროექტში წარმოდგენილი დაკავებული ფართობები ნიავდება ბუნებრივად ფანჯრებისა და კარების საშუალებით და გარე გასაღები ღიობების ჯამური ფართობი გაღებულ მდგომარეობაში აღემატება გასანიავებელი იატაკის ფართობის 4%-ს. ასეთი ბუნებრივი განიავების წყარო გადის 1206 ქვეთავის შესაბამის ეზოში. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1203.4, 1203.4.1 და 1203.4.3 ქვეთავებს.
- გზა-კიბეები ნიავდება ბუნებრივად და მექანიკურად.
  რაც შეეხება ტუალეტის ოთახებს, ასეთი სივრცეები ნიავდება მექანიკურად, რაც შეესაბამება 1203.4.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- 1205.1 ქვეთავის მიხედვით, ადამიანის მიერ დაკავებულ ნებისმიერ სივრცეს უნდა ჰქონდეს ბუნებრივი განათება 1205.2 ქვეთავის შესაბამისი გარე შუქგამტარი ღიობების საშუალებით ან უნდა ჰქონდეს 1205.3 ქვეთავის შესაბამისი ხელოვნული განათება. 1206-ე ქვეთავის შესაბამისად, გარე შუქგამტარი ღიობები უნდა გადიოდეს პირდაპირ საზოგადოებრივ გზაზე, ეზოში ან შიგა ეზოში. შუქგამტარი მინიმალური სუფთა ფართობი არ უნდა იყოს ოთახის იატაკის ფართობის 8%-ზე ნაკლები. აღნიშნული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

- ბუნებრივი განიავების და განათების მიზნით მოწყობილი ღიობები გადის ეზოში, რომელიც იმავე საკუთრებაშია, რომელზეც დგას შენობა. ეზოს სიგანე აკმაყოფილებს 1206.2 ქვეთავის მოთხოვნას და აღემატება ამ შემთხვევისთვის სავალდებულო მინიმალურ 1.5 მეტრის მანძილს.
- თითოეული დაკავებული და გამოყენებადი სივრცის ჭერის სიმაღლე არ არის 2,3 მ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 1208.2 ქვეთავს.
- პროექტი აკმაყოფილებს 1208.3 ქვეთავის მოთხოვნებს ოთახის მინიმალურ ფართობთან დაკავშირებით.
- გასასვლელის საავარიო განათება მოწყობილია საზოგადოებრივი სივრციდან გასასვლელი საშუალებების ყველა ნაწილში (გზა-კარებთან, საერთო სარგებლობის დერეფნებში და ა.შ). ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1205.5 და 1006.1 ქვეთავების მოთხოვნებს.

## გარე კედლების შეფასება:

- გარე კედლის ატმოსფერული ზემოქმედებისაგან დამცავი კონვერტი არ მოეთხოვებათ ბეტონით ან წყობით აგებულ კედლებს, თანახმად 1403.2 ქვეთავის პირველი გამონაკლისისა. საპროექტო შენობის გარე კედლები წარმოადგენს ბეტონის ბლოკის ანაწყობს, შესაბამისად გარე კედლისათვის არაა სავალდებულო ატმოსფერული ზემოქმედებისაგან დამცავი კონვერტის, მათ შორის 1404.2 ქვეთავის შესაბამისი წყალმედეგი ზღუდის მოწყობა.
- გარე კედლების ცეცხლმედეგობა განსაზღვრულია 602 და 705.8.5 ქვეთავების მოთხოვნათა დაცვით.
- რაც შეეხება ორთქლშემაკავებლებს, აღნიშნულის მოწყობა სავალდებულოა მე-5, მე-6, მე-7, მე-8 და მე-4 (საზღვაო) კლიმატურ ზონებში. საქართველოს ტერიტორიაზე ვრცელდება სამი კლიმატური ზონა (1-ლი, მე-3, მე-7) და მხოლოდ ქვეყნის ჩრდილოეთის მაღალ მთიან რეგიონებშია სავალდებულოა შენობა-ნაგებობებში ორთქლშემაკავებლების მოწყობა. საპროექტო შენობაში ორთქლშემაკავებლების მოწყობა არაა სავალდებულო, თანახმად 1405.3 ქვეთავისა.
- რაც შეეხება ჰიდროიზოლაციას, იგი მოწყობილია გარე კედლისა და ფანჯრის ანაწყობების, გარე კედლისა და სახურავის გადაკვეთის არეალებში, რაც აკმაყოფილებს 1405.4 ქვეთავის მოთხოვნას.

## სახურავის ანაწყობების შეფასება:

- ჰიდროიზოლაცია მოწყობილია კედლისა და სახურავის გადაკვეთის ადგილებში, რაც შეესაბამება 1503.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- სახურავის ბურულის კლასიფიკაცია უნდა განისაზღვროს B კლასის კატეგორიით. B კლასის სახურავის ანაწყობებად ითვლება ის ანაწყობები, რომლებიც უძლებს ზომიერი ცეცხლის ზემოქმედებას. 1505.2 ქვეთავის მიხედვით, პროექტით წარმოდგენილი გადახურვა მიეკუთვნება A კლასის ანაწყობს.
- სახურავს გააჩნია 1503.4 ქვეთავის შესაბამისად მოწყობილი წყალარინი ღარები და მილები.
- 1508.2 ცხრილი ადგენს სახურავის იზოლაციის მოთხოვნებს სტანდარტის კუთხით. თუმცა, „წესების“ მიხედვით დასაშვებია მითითებული სტანდარტების შეაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება.

**ცხრილი 1508.2**
**მასალის სტანდარტები სახურავის იზოლაციისთვის**

| | |
|---|---|
| ცელულოზ-მინის ფილა | ASTM C 552 |
| კომპოზიტური ფილები | ASTM C 1289, ტიპი III, IV, V ან VI |
| გაფუებული პოლისტირენი | ASTM C 578 |
| ექსტრუდირებული/დაპრესილი პოლისტირენის ფილა | ASTM C 578 |
| მინერალურბოჭკოვანი იზოლაციის ფილა | ASTM C 726 |
| პერლიტის ფილა | ASTM C 728 |
| პოლიიზოციანურიტის ფილა | ASTM C 1289, ტიპი I ან ტიპი II |
| მერქანბოჭკოვანი ფილა | ASTM C 208 |

- სავალდებულოდ გასათვალისწინებელია: ASTM E 84 - ში ან UL 723 -ში განსაზღვრული მაქსიმალური სისქის მქონე კონსტრუქციაზე ჩატარებული ცდის მიხედვით, XPS ფილების ალის გავრცელების ინდექსი უნდა იყოს 75 ან 75-ზე ნაკლები, ხოლო კვამლის განვითარების ინდექსი - 450 ან 450-ზე ნაკლები.
- სამშენებლო მოედანზე მიტანილ თბოიზოლაციის ფილებს მიკრული უნდა ჰქონდეს აღიარებული ეტიკეტი, რომელიც შეიცავს მწარმოებლის სახელს, პროდუქტის კლასს, პროდუქტის ამოსაცნობ ნიშნებსა და სატანადო ინფორმაციას იმისათვის, რომ ის გამოყენებული იქნას „წესების“ შესაბამისად.

## წყალსადენის სისტემის შეფასება:

- წყალსადენის სისტემის აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა გათვლილია 1602.1 ცხრილში მოთხოვნილ რაოდენობის შესაბამისად.
- სვ და სც ჯგუფის დაკავებულობები უზრუნველყოფილია 1602.1 ცხრილის შესაბამისი მინიმალური ფიქსირებული წყალსადენი სისტემებით.
- ასევე პროექტი ითვალისწინებს 1 შშმპ მისაწვდომი ტუალეტის მოწყობას.
- ზემოაღნიშნულ არცერთ წყალსადენთან მისადგომი ბილიკის სიგრძე არ აღემატება 150 მეტრს, რაც შესაბამისობაშია 1602.3.2 პუნქტის მოთხოვნებთან.

## ავტომობილებთან დაკავშირებული დაკავებულობების შეფასება:

- 406.3.2 ქვეთავის მიხედვით, დს ჯგუფის დაკავებულობები, გამოყენებული კერძო ავტომობილების შესანახად, სადაც არ სრულდება შესაკეთებელი სამუშაოები ან ნაწილდება საწვავი, დასაშვებია იყოს 280 მ $^2$
- 406.9.4.6 ქვეთავის მიხედვით, ერთი ოჯახის საცხოვრებლისთვის განკუთვნილი კერძო გარაჟი ან ავტოსადგომის ფართობი ექსკლუზიური გამოყენებისთვისაა გამიზნული და დახაზვა არ ესაჭიროება.
- ავტოსადგომის თავისუფალი სიმაღლე აკმაყოფილებს 406.4.1 ქვეთავის მოთხოვნებს.
- საავტომობილო გზის სიგანე აკმაყოფილებს 406.9.4.1 ქვეთავის მოთხოვნებს.

- საავტომობილო გზის მოხვევის შიგა რადიუსები აკმაყოფილებს 406.9.4.2-ე ქვეთავის მოთხოვნას.
- ავტოსადგომზე თითოეული ავტომობილისათვის განკუთვნილი გასავლელის სიგანე აკმაყოფილებს 406.9.4.3.1 ცხრილის მოთხოვნებს.
- საავტომობილო გზის და პანდუსის დახრის პროცენტი აკმაყოფილებს 406.9.4.4 ქვეთავის მოთხოვნებს.

**დასკვნა:**

ქ.თბილისში, სოფ.დიღომში, ს/კ 01.72.14.069.159 მრავალფუნქციური შენობის პროექტი პროექტი პროექტი შესაბამისობაშია „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის No41 დადგენილების მოთხოვნებთან. დოკუმენტაცია შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროექტისთვის საჭირო ყველა ინფორმაციას. ამრიგად, საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად.

არქიტექტორი: დ. ომანაძე

ექსპერტი: მაგდა მეშვილდიშვილი 

28.04.2025 მაგდა მეშვილდიშვილი

# საექსპერტო დასკვნა

---

„ტექნიკური რეგლამენტი – „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის № 732 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით

ობიექტის მისამართი: ქ.თბილისი, სოფ.დიღომი, ს/კ 01.72.14.069.159

ობიექტის დანიშნულება: მრავალფუნქციური შენობა

ექსპერტი: მაგდა მეშვილდიშვილი

საექსპერტო დასკვნის მოსამზადებლად გადმოცემულია შემდეგი მასალები:

1. ინფორმაცია საპროექტო ობიექტის თაობაზე;
2. გენგეგმა მ 1:500;
3. გეგმები, ჭრილები, ფასადები მ 1:100;
4. აქსონომეტიული ხედები და ფოტომონტაჟი.

შენიშვნა: მოცემული დოკუმენტაციის სისწორესა და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

გადმოცემული მასალები სრულიად იძლევა ზემოაღნიშნული ექსპერტიზის ჩატარების შესაძლებლობას.

## მისაწვდომი სვლაგეზი:

- **საპროექტო მიწის ნაკვეთსა და საპროექტო შენობაში მისაწვდომი სვლაგეზები შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-4 თავის დებულებებს. მისაწვდომი სვლაგეზი მოიცავს არაუმეტეს 1:20 დახრილ სავალ ზედაპირებს, კარებს და გზა-კარებს, რაც შეესაბამება 402.2 ქვეთავის მოთხოვნებს.**

1. **მისაწვდომი სვლაგეზის სავალი ზედაპირები შეესაბამება 403 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

- იატაკის ზედაპირები არის მდგრადი, მყარი და არასრიალა, რაც შეესაბამება 302 ქვეთავის მოთხოვნას.
- საზოგადოებრივი სივრციდან საპროექტო მიწის ნაკვეთის გავლით მოწყობილი სავალი ზედაპირის დახრილი სვლა არ არის 1:20-ზე მეტად დახრილი, ხოლო სავალი ზედაპირის განივი დახრა არ აღემატება 1:48-ს, თანახმად 403.3 ქვეთავისა.
- შენობის გარეთ, მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილი გადადის ცხაურის ტიპის ზედაპირზე (ე.წ. “ბალახის ქვაფენილზე“). აღნიშნული ზედაპირის ღიობების გრძელი მხარე სავალი ზედაპირის პერპენდიკულარულადაა განლაგებული, ხოლო ღიობებში არ ეტევა 13 მმ დიამეტრის სფერო, რაც შესაბამისაობაშია 302.3 ქვეთავის მოთხოვნებთან.
- იატაკის ზედაპირებზე დონე არ იცვლება, შესაბამისად დაკმაყოფილებულია 303-ე ქვეთავის მოთხოვნა.
- მისაწვდომი სვლაგეზის მინიმალური თავისუფალი სიგანე შენობაში უტოლდება 900 მმ-ს, ხოლო შენობის გარეთ - 1200 მმ-ს, რაც შეესაბამება 403.5.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 90 გრადუსიან ბრუნს, თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას და მოსატრიალებლიდან მოშორებისას აკმაყოფილებს 403.5.3.1 ქვეთავით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს.
- სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 180 გრადუსიან ბრუნს, თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას და მოსატრიალებლიდან მოშორებისას აკმაყოფილებს 403.5.2.1 ქვეთავით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს.
- საპროექტო შენობაში მისაწვდომი სვლაგეზები მოიცავს გვერდასავლელ სივრცეებს, რაც შეესაბამება 403.5.4.1 ქვეთავის მოთხოვნას.

2. **კარები და გზა-კარები, რომლებიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია, შეესაბამება 404 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

- მისაწვდომ სვლაგეზზე არსებული ყველა გზა-კარის თავისუფალი სიგანე არ არის 820 მმ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 404.2.2 ქვეთავის მოთხოვნას. სადაც პროექტით

გათვალისწინებულია ორფრთიანი გზა-კარი, იგი წარმოდგენილია გამყოფის გარეშე და ორივე აქტიური ფრთა უზრუნველყოფს სულ მცირე, 820 მმ თავისუფალ სიგანეს.

- მისაწვდომ სვლაგეზზე არსებულ ყველა კართან და გზა-კართან უზრუნველყოფილია მანევრირებისათვის თავისუფალი სივრცე 404.2.3.2 ცხრილის შესაბამისად. მანევრირებისთვის აუცილებელ თავისუფალ სივრცეში, იატაკის ზედაპირი შეესაბამება 302-ე ქვეთავს და მათი ზედაპირი არ არის 1:48-ზე მეტად დახრილი. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 404.2.3 და 404.2.3.1 ქვეთავების მოთხოვნებს.
- გზა-კარები გათვალისწინებულია ზღურბლის გარეშე, რითაც დაკმაყოფილებულია 404.2.4 ქვეთავის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, გზა-კარების ზღურბლების სიმაღლე არაუმეტეს 13 მმ უნდა იყოს. რაც შეეხება ამავე ქვეთავით განსაზღვრულ იატაკის დონეებს შორის ცვლილების საკითხს, კარებთან იატაკის დონეები უცვლელია.
- კარის კავეულის სიმაღლე მდებარეობს არაუმცირეს 860 მმ და არაუმეტეს 1200 მმ სიმაღლეზე, რაც შეესაბამება 404.2.6.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- იატაკიდან 250 მმ-ის საზღვრებში, შვეულად გაზომვისას, კარების ზედაპირები გლუვია მიწოლის მხარეს და ასეთი გლუვი ზედაპირები კარის მთელ სიგანეზე გრძელდება. კარის კავეული და ნებისმიერი სხვა შემაფერხებელი ან გამოშვერილი ნაწილი, არ არის მოწყობილი იატაკიდან 250 მმ-ის საზღვრებში. ყოველივე აღნიშნული აკმაყოფილებს 404.2.9 ქვეთავის მოთხოვნებს.

## ადგილის და შენობის ელემენტები:

- **მისაწვდომი კიბისადმი მოთხოვნები შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-5 თავის დებულებებს, კერძოდ:**

